# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №407

(მომსახურების თაობაზე)

ქ. ბათუმი 21 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ **სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილის მ.შ. /დირექტორის მ.შ. **ავთანდილ გეგენავას** სახით და მეორეს მხრივ **ა(ა)იპ-„სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო"-ს** (შემდგომში „მიმწოდებელი"), დირექტორის გიორგი ჩხეიძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

11. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა „შემსყიდველისათვის" უზრუნველყოს კლასიფიკატორის კოდით (CPV-63712400) ავტოსადგომების მომსახურება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება, კერძოდ შემსყიდველის კუთვნილ ავტომანქანებს შემდეგი სახელმწიფო ნომრებით:

1.1.1. ჰიუნდაი სონატა - სახელმწიფო ნომერი --- **FFT 090**
1.1.2. სუზუკი სვიფტი - სახელმწიფო ნომერი --- GBB – 573
1.1.3. ჰიუნდაი ელანტრა - სახელმწიფო ნომერი --- CQQ – 788
1.1.4. ჰიუნდაი აქცენტი - სახელმწიფო ნომერი --- CQQ - 797
1.1.5. კია სერატო - სახელმწიფო ნომერი --- MTA – 070
1.1.6. ჰიუნდაი აქცენტი - სახელმწიფო ნომერი - VWW – 196
1.1.7. ჰიუნდაი აქცენტი - სახელმწიფო ნომერი - VWW – 197
1.1.8. ჰიუნდაი აქცენტი - სახელმწიფო ნომერი - VWW - 198

თვირთმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე მიეცეთ პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობის უფლება, ხოლო „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურეობა და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულებით შეთანხმებულ მოთხოვნებთან და პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი რევაზ ჩანტლაძე

## 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
3.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

## 4. მომსახურების მიწოდების პირობები.

4.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

## 5. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. 365 (სამასამოცდახუთი) დღის განმავლობაში ერთ ავტომანქანაზე პარკირების სარგებლობისათვის საფასური შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს, შესაბამისად, შესასყიდი მომსახურების მთლიანი ღირებულებაა 320 (სამასოცი ) ლარი.

5.2. მომსახურების ღირებულება წარმოადგენს „თვითმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და ტაქსების პარკირების ადგილებით სარგებლობისთვის საფასურის დადგენის შესახებ" თვითმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებით გათვალისწინებულ გადასახადს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია „შემსყიდველი".

5.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.4. „შემსყიდველი" ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ანგარიშსწორებას ახორციელებს სათანადო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) საფუძველზე.

5.5. შემსყიდველის მიერ პარკირების სარგებლობისათვის საფასური გადახდილად ჩაითვლება გადახდის დღიდან მომდევნო 365 (სამასსამოცდახუთი) დღის განმავლობაში.

## 6. გარანტია

6.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, გაწეული მომსახურების ხარისხიანობაზე.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. უფლებების გადაცემა

8.1. „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა

აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობები შეუსრულებლობის გამო

10.1. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, სრული პროგრამა ან მისი ნაწილი.

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

## 13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

## 15. შეტყობინება

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან, მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი ინახება "შემსყიდველთან", ხოლო ერთი ეგზემპლარი "მიმწოდებელთან".

## 18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ს.ს.ი.პ. „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო"<br>ს.კ. 245 631 632<br>იურიდიული მისამართი:<br>ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №23<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>სახელმწიფო ხაზინა<br>ბანკის კოდი: **TRESGE22**<br>ანგ/ნომერი: 707227058<br>TEL/FAX: +995 422 27 49 25<br>+995 422 27 39 29<br>e.mail. info@mta.gov.ge | ა(ა)იპ -„სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო"<br>ს/კ 445405348.<br>იურიდიული მისამართი:<br>ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №81.<br>მიმღების დასახელება:<br>სახაზინო კოდი: **TRESGE22**<br>ხაზინის ერთიანი ანგარიში: 740747499<br>http://batumitransport.ge/ |
| დირექტორის მ.შ. ავთანდილ გეგენავა | დირექტორი გ. ჩხეიძე |